სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

_____ კახაბერ კირტავა

21. 12. 2016 წელი

ეგზ. N2

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 82/36

2014 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შემოკლებანი 3
2. შემაჯამებელი მიმოხილვა 3
3. შესავალი 3
3.1. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა 3
3.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა 3
3.3. აუდიტის მასშტაბი 4
3.4. აუდიტის ანგარიშის დანიშნულება 4
3.5. აუდიტის ანგარიშის ფორმა 4
3.6. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა 4
4. ძირითადი ტექსტი 5
4.1. საიჯარო ღირებულებების განსაზღვრა 5
4.2 ვალდებულებების მართვა და ქონების შეფასება 6
4.2.1 ქონების შეფასება 6
4.2.2 ვალდებულებების მართვა 7
5. შემაჯამებელი დასკვნა 9
6. რეკომენდაცია 9
7. სხვა მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა 10

1. შემოკლებანი

- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - სამინისტრო;
- შპს ,,სავაჭრო ცენტრი 2009'' - კომპანია, საზოგადოება.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი - კოდექსი;

2. შემაჯამებელი მიმოხილვა

- კომპანიის მიერ, მოიჯარეებთან შესაბამისი საიჯარო ფართების გამოყოფა და ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც ფიზიკურად კომპანიაში არ ინახება. აღნიშნული, შემოსავლების მიღების პროცესის შიდა კონტროლის სისუსტეს წარმოადგენს და საიჯარო ღირებულებების არაზუსტი ფასის განსაზღვრის რისკებს წარმოშობს. შესაბამისად, ხელმძღვანელობის მიერ სამართლებრივად საკითხის მოწესრიგება აღმოფხვრის აღნიშნულ რისკებს.
- საზოგადოების ეკონომიკურ საქმიანობაში, მოიჯარეებთან დებიტორული ვალდებულებების გაქვითვის სანაცვლოდ, ხორციელდება მოიჯარის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა კომპანიაზე, რომელთა ღირბულებამაც, აუდიტის პერიოდში 8 840 ლარი შეადინა, თუმცა ვალდებულებების გაქვითვის საპირწონედ, ქონებების შეფასება არ არის განხორციელებული შესაბამისი კომპეტენციისა და სპეციალური ცოდნის მქონე სუბიექტის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული სახის ოპერაციების შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს კომპეტენტური პირების ჩართულობა.
- კომპანიის მიმართ 32 937 ლარის დებიტორული მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებით, არ ხდება ქმედითი ღონისძიებების შემუშავება და გატარება. შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს თანმდევი ღონისძიებების შემუშავება, კანონმდებლობით გათალისწინებული პროცედურების მიხედვით, რაც ყოველწლიურად შეამცირებდა საზოგადოების დებიტორულ მოთხოვნებს და გაზრდიდა ფინანსურ შემოსავლებს.

3. შესავალი

3.1. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

3.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საზოგადოების 2014-2015 წლების საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

3.3. აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს, შპს ,,სავაჭრო ცენტრი 2009-ის'' მიერ 2014-2015 წლებში გაწეული საქმიანობა.

3.4. აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

3.5. აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით". „ანგარიში ვრცელი ფორმით" გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

3.6. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

აუდიტის შესწავლის საგანს წარმოადგენს შპს ,,სავაჭრო ცენტრი 2009'' .საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, პარტნიორი უფლებამოსილებებს ახორციელებს პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- სავაჭრო და კომერციული საქმიანობა;
- საზოგადოებრივი ბაზრობების ორგანიზება;
- სავაჭრო და კომერციული ფართების სარგებლობაში გადაცემა.

საზოგადოების ძირითადი მიზანია წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის შედეგად მოგების მიღება.

4. ძირითადი ტექსტი

4.1. საიჯარო ღირებულებების განსაზღვრა

კრიტერიუმი

კომპანიის დირექტორის მიერ, საიჯარო ქირის ოდენობასთან დაკავშირებით, თითოეული სექციისა და სავაჭრო ობიექტის მიხედვით გამოიცემა ბრძანება, სადაც განსაზღვრულია საიჯარო ქირის მინიმალური ზღვარი, აუდიტის პერიოდისათვის მოქმედი სატარიფო ბრძანება სავაჭრო ობიექტთა ქირავნობასთან დაკავშირებით გამოცემულია 2010 წლის 26 თებერვალს[1] და 2010 წლის 13 სექტემბერს[2], რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს მოიჯარეებთან საიჯარო ფასის განსაზღვრა.

გამოვლენილი გარემოება

კომპანიის მიერ წარმოდგენილ საიჯარო ხელშეკრულებებში, დაფიქსირებულია საიჯარო ღირებულება და სექციისა და სავაჭრო ობიექტის შესაბამისი ნომერი, თუმცა ვერ ხდება მათი თანხვედრა კომპანიის დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებებთან, რომლებიც განსაზღვრავს საიჯარო ღირებულებებს.

კომპანიის დირექტორის მიერ იჯარებთან დაკავშირებით, 2009 წლიდან, სულ გამოცემულია ოთხი ძირითადი ბრძანება, ესენია:

N	ბრძანების		მოიცავს დანართს (კი/არა)	წარმოდგენილია დანართი (კი/არა)
	თარიღი	N		
1	20.07.2009	5	კი	კი
2	12.11.2009	15	კი	კი
3	26.02.2010	10	კი	არა
4	13.09.2010	27	არა	-

ცხრილი N1 - დირექტორის ბრძანებების შესახებ

აუდიტის პერიოდში, 2014-2015 წლებში მოქმედ ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება მოიჯარეთა საიჯარო ღირებულებები, წარმოადგენს 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება, სადაც დანართის სახით დადგენილია სექციის, მაღაზიისა და იჯარის მინიმალური ღირებულება, თუმცა კომპანიის უფლებამოსილი პირების განმარტებით, აღნიშნული დანართის მოძიება ფიზიკურად ვერ ხდება. შესაბამისად, აღნიშული ბრძანების გამოცემამდე არსებული ბრძანებით განსაზღვრული ობიექტების ნუმერაცია არ შეესაბამება საიჯარო ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ ახალ ნუმერაციებს.

დასკვნა

მოიჯარეებთან სექციის, სავაჭრო ობიექტისა და საიჯარო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება კომპანიის დირექტორის ბრძანებით, რომელიც ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც შემოსავლების მიღების პროცესის შიდა კონტროლის სისუსტეს წარმოადგენს და საიჯარო ღირებულებების არაზუსტი ფასის განსაზღვრის რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია

კომპანიის მენეჯმენტმა უზრუნველყოს, კონტროლის მექანიზმების შემუშავება, შემოსავლების მიღების სატარიფო გეგმის მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით.

[1] ბრძანება N10 26.02.2010წ.
[2] ბრძანება N27 13.09.2010წ.

4.2 ვალდებულებების მართვა და ქონების შეფასება

4.2.1 ქონების შეფასება

კრიტერიუმი

კომპანიის წესდების მიხედვით, საზოგადოებას გააჩნია ფასეულობები, რომელთა ღირებულება აისახება ბალანსში, აღნიშნული ქონებების ღირებულების ფორმირების წყარო შეიძლება იყოს მისი შესყიდვის ღირებულება ან სხვა წყაროები, მოიჯარეებთან ვალდებულებების გაქვითვის პროცესში, როდესაც ხდება ვალდებულების ჩამოწერა კონკრეტულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე შესაბამისი ქონების სანაცვლოდ. მნიშვნელოვანია გასაქვითი ქონების ღირებულების ზუსტი განსაზღვრა, რომელიც საჭიროებს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების და უნარჩვევების მქონე კომპეტენტური პირის შეფასებას, რათა რაციონალურად და ეფექტიანად მოხდეს კომპანიის ინტერესების რეალიზაცია.

გამოვლენილი გარემოება

საზოგადოება, ძირითადი საქმიანობის ფარგლებში, იჯარით გასცემს მიწის ნაკვეთებს ან კომერციულ ფართებს, შესაბამისი საიჯარო ღირებულების სანაცვლოდ. საიჯარო ღირებულების გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. აუდიტის პერიოდში, რიგ შემთხვევებში ფიქსირდება, რომ კონკრეტული მიმწოდებლების მიერ არ არის გადახდილი დადგენილი საიჯარო თანხები, რის სანაცვლოდაც მხარეებს შორის როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დგება შეთანხმება მოიჯარის საკუთრებაში არსებული ქონების ვალდებულებაში გაქვითვის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მოიჯარის საკუთრებაში არსებულ ფოლადის კონსტრუქციას, ეგრეთწოდებულ ,,კონტეინერს'', ან კონსტრუქციულ ნაგებობას. ქვემოთ წარმოდგენილია ქონებები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა ფინანსური ვალდებულებების გაქვითვა:

N	საიჯარო ხელშეკრულება		დავალიანების ოდენობა	გაქვითული დავალიანება		პერიოდი	
	N	თარიღი		თანხა	სახეობა	ვალდებულების	გაქვითვის
1	427	01.01.2011წ.	840	840	კონტეინერი	2014-2015 წწ.	2016წ.
2	43	01.03.2013წ.	800	800	კონტეინერი	2014-2015 წწ.	2015წ.
3	670	01.01.2011წ.	3 200	3 200	ნაგებობა	2014-2015 წწ.	2016წ.
4	465	01.01.2011წ.	3 200	3 200	4 ერთეული კონტეინერი	2015წ.	2016წ.
5	279	01.12.2012წ.	800	800	კონტეინერი	2014წ.	2014წ.
ჯამი			8 840	8 840			

ცხრილი N2 - გაქვითული ვალდებულებების შესახებ

ზემოაღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ სულ კომპანიაზე გადაცემულია 8 840 ლარის ღირებულების ქონება და შესაბამისად გაქვითულია იდენტური ოდენობის ვალდებულებები მოიჯარეებზე, თუმცა ქონების ღირებულებების განსაზღვრა, როგორც უძრავი ასევე მოძრავის შემთხვევაში, საჭიროებს სპეციალური ცოდნის მქონე პირის შეფასებას. აღნიშნულ შემთხვევაში, ქონებების შეფასება არ არის არგუმენტირებული, ვინაიდან უცნობია ვის მიერ, რა მეთოდოლოგიით, როგორ კომპეტენციითა და გამოცდილებით განხორციელდა გადმოსაცემი ქონებების ღირებულების განსაზღვრა და შეფასება.

დასკვნა

აუდიტის პერიოდში, 8 840 ლარის ვალდებულებების გაქვითვის საპირწონედ, გადაცემული ქონებების ღირებულებების განსაზღვრა, არ არის არგუმენტირებული, და მათი არაზუსტი შეფასების რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია

კომპანიის მენეჯმენტმა უზრუნველყოს, მოიჯარეთა ვალდებულებების გაქვითვის მომენტისათვის, ქონების შეფასების განხორციელება, შესაბამისი კომპეტენციისა და სპეციალური ცოდნის მქონე სუბიექტის მიერ.

4.2.2 ვალდებულებების მართვა

კრიტერიუმი

როგორც საზოგადოების წესდებით არის განსაზღვრული [3], დირექტორმა კომპანიის ამოცანები უნდა შეასრულოს ისეთი ქმედებებით, რომ ეს კონკრეტული გადაწყვეტილება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. ეკონომიკურ საქმიანობაში, კომპანიის ვალდებულებათა ეფექტიანი მართვა და დროული რეაგირება, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, დებიტორული ვალდებულებების აღრიცხვა და შემდგომში მათი თანხობრივად შემცირება, საზოგადოების ფინანსური სტაბილურობის ხელშემწყობია. შესაბამისად უნდა განისაზღვრის კონკრეტული პერიოდი თუ როდის მოხდება ვალდებულებათა დაფარვა, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება ვერ განხორციელდა, კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს თანმდევი ღონისძიებები, რომელიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

გამოვლენილი გარემოება

აუდიტის პერიოდში, საზოგადოების ბალანსზე, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება 191 819 ლარის დებიტორული მოთხოვნები[4], აუდიტის ჯგუფის მიერ, შერჩეული იქნა როგორც წლის ბოლოს რიცხული დებიტორული ვალდებულებები, ასევე 2014-2015 წლების განმავლობაში წარმოშობილი. განხორციელებული ტესტირებების შედეგად გამოვლინდა, რომ დებიტორული მოთხოვნები, მათი წარმოშობის პერიოდის მიხედვით, ყოველწლიურად არ მცირდება. აღნიშნულმა დებიტორულმა ვალდებულებებმა სულ შეადგინა 75 517 ლარი, მათ შორის 42 580 ლარი წარმოადგენს, სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახლებსა და სავაჭრო ობიექტებს, რომელთა მიმართ კომპანიის მიერ, 2016 წლის ინფორმაციის მიხედვით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შესაბამისი შეთანხმებების მომზადება თანხის გადახდასთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოიჯარეები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაბამისი ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობენ ხანძრის შემდგომ გარემონტებული და აღდგენილი ფართებით. ხოლო 32 937 ლარი წარმოადგენს შესაბამისი ფართით მოსარგებლე მოიჯარეებს, რომელთა მიერ არ იქნა გადახდილი საიჯარო თანხები დადგენილ პერიოდში და არც 2016 წლის პერიოდში შემცირებულა, კერძოდ:

[3] შპს ,,სავაჭრო ცენტრი 2009-ის'' წესდების მე-7 მუხლი. დირექტორის უფლება მოვალეობები

[4] სულ დებიტორული მოთხოვები 210 348 ლარი, მათ შორის მოიჯარეების ნაწილში 191 819 ლარი.

N	საიჯარო ხელშეკრულება		ხელშეკრულებით განსაზღვრული ობიექტის		დავალიანების ოდენობა
	N	თარიღი	ღირებულება	სახეობა	01.01.2016წ.
1	677	01.01.2011	6 400	ნაგებობა	6 400
2	681	01.01.2011	არ ფიქსირდება	ნაგებობა	810
3	248	01.11.2012	800	ნაგებობა	2 880
4	249	01.11.2012	800	ნაგებობა	1 342
5	202	01.11.2013	7 000	ნაგებობა	3 503
6	279	01.12.2012წ.	800	კონტეინერი	2 500
7	186	01.11.2014	არ ფიქსირდება	ნაგებობა	906
8	243	01.10.2012	800	ნაგებობა	1 632
9	9	01.02.2015	არ ფიქსირდება	კონტეინერი	400
10	292	05.12.2012	არ ფიქსირდება	ნაგებობა	410
12	1190	15.07.2011	არ ფიქსირდება	ნაგებობა	205
14	190	25.06.2012	არ ფიქსირდება	ნაგებობა	540
16	648	01.01.2011	არ ფიქსირდება	ნაგებობა	510
20	174	26.09.2013	3 000	ნაგებობა	3 275
21	1157	01.01.2011	800	კონტეინერი	50
22	1160	01.01.2011	800	კონტეინერი	150
23	104	2012წ.	800	კონტეინერი	150
24	398	01.01.2011	800	კონტეინერი	260
25	203	01.11.2013	არ ფიქსირდება	კონტეინერი	187
26	468	01.01.2011	800	კონტეინერი	60
27	72	01.05.2013	800	კონტეინერი	150
28	192	11.11.2014	არ ფიქსირდება	ნაგებობა	2 400
29	647	01.01.2011	არ ფიქსირდება	ნაგებობა	
30	182	01.10.2014	არ ფიქსირდება	ნაგებობა	424
31	668	01.01.2011	4 000	ნაგებობა	
32	172	01.06.2012	არ ფიქსირდება	ნაგებობა	983
33	1079	01.01.2011	9 000	ნაგებობა	1 040
34	56	01.03.2014	არ ფიქსირდება	არ ფიქსირდება	810
35	7	01.01.2012	არ ფიქსირდება	არ ფიქსირდება	960
ჯამი			**37 400**		**32 937**

ცხრილი N3 - დებიტორული ვალდებულებების შესახებ

ზემოაღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილი ვალდებულებები, წარმოშობილია 2010-2015 წლებში, რომელთა დავალიანებაც კომპანიის მიმართ 2016 წლის დეკემბრის თვის ინფორმაციის მიხედვით არ მცირდება. აღნიშნულ მოიჯარეებთან რიგ შემთხვევებში, კომპანიის დირექტორის ბრძანებებით, შეწყვეტილია ხელშეკრულებები, სადაც აღნიშნულია, რომ უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები საიჯარო დავალიანებების ამოსაღებად, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები აუდიტის პერიოდისათვის არ არის განხორციელებული.

დასკვნა

კომპანიის მიმართ 32 937 ლარის დებიტორული მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ არ არის გატარებული სათანადო ღონისძიებები, რაც ყოველწლიურად შეამცირებდა საზოგადოების დებიტორულ მოთხოვნებს და გაზრდიდა ფინანსურ შემოსავლებს.

რეკომენდაცია

კომპანიის მენეჯმენტმა უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება, დებიტორული მოთხოვნების შემცირებასთან მიმართებით.

5. შემაჯამებელი დასკვნა

შპს ,,სავაჭრო ცენტრი 2009-ის'' 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- მოიჯარეებთან სექციის, სავაჭრო ობიექტისა და საიჯარო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება კომპანიის დირექტორის ბრძანებით, რომელიც ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც შემოსავლების მიღების პროცესის შიდა კონტროლის სისუსტეს წარმოადგენს და საიჯარო ღირებულებების არაზუსტი ფასის განსაზღვრის რისკებს წარმოშობს.
- აუდიტის პერიოდში, 8 840 ლარის ვალდებულებების გაქვითვის საპირწონედ, გადაცემული ქონებების ღირებულებების განსაზღვრა არ არის არგუმენტირებული და მათი არაზუსტი შეფასების რისკებს წარმოშობს.
- კომპანიის მიმართ 32 937 ლარის დებიტორული მოთხოვნების ამოღებასთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ არ არის გატარებული სათანადო ღონისძიებები, რაც ყოველწლიურად შეამცირებდა საზოგადოების დებიტორულ მოთხოვნებს და გაზრდიდა ფინანსურ შემოსავლებს.

6. რეკომენდაცია

- კომპანიის მენეჯმენტმა უზრუნველყოს კონტროლის მექანიზმების შემუშავება, შემოსავლების მიღების სატარიფო გეგმის მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით.
- კომპანიის მენეჯმენტმა უზრუნველყოს, მოიჯარეთა ვალდებულებების გაქვითვის მომენტისათვის, ქონების შეფასების განხორციელება, შესაბამისი კომპეტენციისა და სპეციალური ცოდნის მქონე სუბიექტის მიერ.
- კომპანიის მენეჯმენტმა უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება დებიტორული მოთხოვნების შემცირებასთან მიმართებით.

7. სხვა მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

კომპანიის მიერ, მოიჯარეებთან საიჯარო ხელშეკრულებების ნაწილში, დედანი დოკუმენტის სახით, ორ შემთხვევაში ვერ იქნა წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულებები. ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ცხრა შემთხვევაში დირექტორის შესაბამისი ბრძანებები[5].

გურამ დუმბაძე
/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ნადიმ ბოლქვაძე
/წამყვანი აუდიტორი, ჯგუფის წევრი/

გურანდა გვაზავა
/აუდიტორი/ჯგუფის წევრი/

ავთანდილ აბაშიძე
/აუდიტორ-ასისტენტი/ჯგუფის წევრი/

21 დეკემბერი 2016 წ.

[5] ცნობა აუდიტის დეპარტამენტს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში N01-14/67; ცნობა აუდიტის დეპარტამენტს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში N01-14/66; დეპარტამენტს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში N01-14/656;